

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა  
„საზოგადოებრივი ჯანდაცვა და  
ეპიდემიოლოგია“

**თამარ დოჭვირი**

**65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში  
ვარდნით გამოწვეული ტრავმების  
ეპიდემიოლოგია და პრევენციის  
შესაძლებლობების შეფასება საქართველოში**

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჩიხლაძე  
საზოგადოებრივი  
ჯანდაცვის დოქტორი, პროფესორი

თბილისი  
2024 წელი



## შესავალი

**ნაშრომის აქტუალობა.** მოსახლეობის დაბერება წარმოადგენს 21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ და დემოგრაფიულ ტენდენციას. სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა ჯანდაცვის სექტორის უდიდესი მიღწევაა, თუმცა ამავდროულად აღნიშნული ტენდენცია გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოების განვითარებას. დადგენილია, რომ არაჯანსაღი ცხოვრების წლები შეადგენს ადამიანის სიცოცხლის დაახლოებით 20%-ს, ამდენად ხანგრძლივ სიცოცხლესთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ზრუნვა ხანდაზმული ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, რათა მათ შეძლონ აქტიური და დამოუკიდებელი ცხოვრება.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გერიატრიული სინდრომი, რომელიც საფრთხეს უქმნის ასაკოვანი ადამიანების ჯანმრთელობას და დამოუკიდებლად ცხოვრებას არის ვარდნა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ვარდნა არის არასატრანსპორტო შემთხვევითი დაზიანებებით გამოწვეული სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზი და მისი რიცხვი ყოველწლიურად 684000-ს აღწევს (WHO,2021).

ვარდნა არის დაზიანებებთან დაკავშირებული უნარშეზღუდულობით გატარებული სიცოცხლის წლების მაჩვენებლის (DALYs) მთავარი მიზეზი.

მოსახლეობის დაბერების ტენდენცია დაკავშირებულია ასაკოვანი ადამიანების რაოდენობის მატებასთან, შესაბამისად იზრდება მათ შორის ვარდნისა და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების რაოდენობა და შედეგად 65 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში დროებითი ან

მყარი, ხანგრძლივი უნარშეზღუდულობა, რაც შეიძლება მიიმე ტვირთად დააწვეს ოჯახს, ჯანდაცვის სისტემას, სახელმწიფო ეკონომიკას. დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების ტვირთი არ არის სათანადოდ შესწავლილი. მოცემული საკითხის შესახებ ცნობიერების დაბალი დონიდან გამომდინარე ვარდნის რისკები სათანადოდ არ არის შეფასებული საზოგადოების მხრიდან და შესაბამისად პრობლემა არ არის სრულფასოვნად აღქმული უშუალოდ 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ვარდნასთან დაკავშირებული მონაცემების ნაკლებობაა, რაც შეფერხებას ქმნის სათანადო პრევენციული პროგრამების შემუშავებაში (WHO 2021, გვ. 30).

საქართველოში ანალოგიური კვლევები არ არის ჩატარებული. ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პრევენციის ეფექტური და ქვეყნისთვის სპეციფიური სტრატეგიის იდენტიფიცირებისთვის, მნიშვნელოვანია ხანდაზმულ მოსახლეობაში ვარდნასთან ასოცირებული ტრავმული დაზიანებების მასშტაბის, ტენდენციის, ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნის რისკების და ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ დამოკიდებულებების გამოვლენა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში 65 წლის და უფროსი ასაკობრივი

ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავა და ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ვარდნის რისკების აღქმის და ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პრევენციის მიმართ დამოკიდებულებების შეფასება. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

✓ საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციების გამოვლენა;

✓ ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა (ასაკი, სქესი, რეგიონი, სეზონურობა, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, ჰოსპიტალიზაციის გამოსავალი);

✓ ცვლადებს შორის დამოკიდებულებების შეფასება;

✓ ქ. თბილისის 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნის და ტრავმული დაზიანების მიღების გამოცდილების გამოვლენა;

✓ ვარდნის და ტრავმული დაზიანებების მიღების რისკფაქტორების შეფასება;

✓ ტრავმატიზმისპრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებების შესწავლა;

✓ ტრავმატიზმის პრევენციის განათლებითი კომპონენტის მიმართ მზაობის გამოვლენა.

#### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე:**

კვლევა წარმოადგენს საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების პირველ კომპლექსურ კვლევას.

▪ პირველად არის შესწავლილი საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით

გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციები 2015-2021 წლებში და გამოვლენილია ძირითადი ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები;

- პირველად არის შესწავლილი საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნის და ტრავმული დაზიანებების მიღების რისკ-ფაქტორები და პრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებები.

### **ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.**

ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგები წარმოადგენს პრაქტიკულ ღირებულებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემის წარმომადგენლებისთვის. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანებების სათანადო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და განხორციელება, საქართველოს ხანდაზმული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

კვლევის ორივე ეტაპი განხორციელდა NIH (აშშ) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის iCREATE – Increasing Capacity in Injury Research in Eastern Europe ფარგლებში. პროექტში ჩართულია სულ ხუთი ქვეყანა. პროექტის კოორდინატორი ქვეყნები არიან აშშ და რუმინეთი, ხოლო პარტნიორი ქვეყნები: საქართველო, სომხეთი და მოლდოვეთის რესპუბლიკა. სწორედ ამიტომ, ჩვენს მიერ გლობალურ დონეზე ზოგიერთი ტრენდის და სტატისტიკური მონაცემების განხილვისას აქცენტს ზემოთ დასახელებულ ქვეყნებზე ვაკეთებდით.

## თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. მოსახლეობის დაბერების ტენდენციები: ევროპის რეგიონი და საქართველო

ევროპის რეგიონში მოსახლეობის დაბერება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სტატისტიკური პროგნოზების მიხედვით მოსალოდნელია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის ტენდენციის შენარჩუნება. ევროპის რეგიონში მომდევნო 50 წლის განმავლობაში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვი გაორმაგდება, ხოლო 80 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზრდება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც მოსახლეობის დაბერების ტენდენციის პარალელურად იკვეთება, ეს არის გენდერული თანაფარდობის თავისებურება. 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის სტრუქტურაში ჭარბობენ ქალები და თანაფარდობა ქალების უპირატესობით მატულობს უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში. ევროსაბჭოს განვითარების ბანკის პროგნოზული მონაცემების მიხედვით საქართველოში დაახლოებით იგივე ტენდენციებია მოსალოდნელი (CEB, 2014). 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხვი თითქმის გაორმაგდება და ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი 2060 წელს 2010 წელთან შედარებით 14%-დან გაიზრდება 27%-მდე, ხოლო 80 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობაც თითქმის სამჯერ გაიზრდება და ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი 2060 წელს 2010 წელთან შედარებით 3%-დან გაიზრდება 8%-მდე

ევროპის რეგიონის ანალოგიურად საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურაშიც იკვეთება ანალოგიური გენდერული თავისებურება. საქართველოშიც 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის სტრუქტურაში ჭარბობენ ქალები. უკანასკნელი

სამი დეკადის განმავლობაში მკაფიოდ იკვეთება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. 2022 წელს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილმა შეადგინა 15,5%, მაშინ როდესაც 1994 წელს ის შეადგენდა 10,5%-ს.

საქართველოს მოსახლეობის დაბერების გაგრძელების ტენდენცია დღის წესრიგში აყენებს 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვის აუცილებლობას, ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელი დაავადებების, მათი რისკ-ფაქტორების და პრევენციის გზების შესწავლის მიმართულებით.

## **1.2. ვარდნის დეფინიცია და ISD-10 კოდები**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ვარდნა განისაზღვრება, როგორც მოვლენა, რომლის შედეგადაც ადამიანი უნებლიედ ეცემა იმავე დონეზე (მიწაზე ან იატაკზე) ან სხვა უფრო ქვედა დონეზე. დაცემასთან დაკავშირებული დაზიანებები შეიძლება იყოს ფატალური ან არაფატალური. დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ISD-10 კოდების) მიხედვით ვარდნა (W000-W019 კოდები) კლასიფიცირებულია, როგორც დაავადების განვითარების ან სიკვდილის გარეგანი მიზეზი.

## **1.3 ვარდნის ტენდენციები**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით გლობალურად ყოველწლიურად ვარდნასთან ასოცირებულ დაახლოებით 37.3 მილიონ შემთხვევას ესაჭიროება სამედიცინო ჩარევა. ტრავმის შედეგად მიღებული დაზიანებებიდან, სწორედ ვარდნით გამოწვეული სიკვდილიანობა არის მეორე ადგილზე.



დიდ ბრიტანეთში საერთაშორისო ორგანიზაციის „Cochrane“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად ეცემა 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების დაახლოებით 30% და აქედან ყოველი მე-5 შემთხვევა საჭიროებს სამედიცინო ჩარევას.

#### **1.4 ვარდნის რისკ-ფაქტორები**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2007 წლის ანგარიშში გამოქვეყნებული კლასიფიკაციის მიხედვით ვარდნის რისკები ოთხ ჯგუფშია გაერთიანებული: ბიოლოგიური რისკები (მაგალითად ასაკი, სქესი, რასა, ქრონიკული დაავადებები), ქცევითი რისკები (მაგალითად ალკოჰოლის მიღება, რამდენიმე მედიკამენტის მიღება, არაკომფორტული ფეხსაცმელების ტარება), გარემოს რისკები (საცხოვრებელის ცუდი დიზაინი, კიბეები, სრიალა იატაკი, ცუდი განათება) და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (ცუდი განათლება, დაბალი შემოსავალი, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და სხვა).

კვლევებით დადგინდა, რომ ვარდნის ალბათობა იზრდება რამდენიმე რისკ ფაქტორის თანხვედრის შემთხვევაში.

ვარდნის გამოცდილების შემდეგ ხანდაზმული ადამიანები კარგავენ რწმენას, უჩნდებათ შიში და შფოთვა და ამ ყველაფერმა შესაძლოა ადამიანი ყოველდღიური ნორმალური ცხოვრების მოტივაციის დაკარგვამდეც კი მიიყვანოს. დაცემის შიშმა შესაძლოა თავის მხრივ გაზარდოს ვარდნის რისკი. 2005 წელს ლაჩის კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ვარდნასთან დაკავშირებული შიში ბოლო 2 წლის განმავლობაში 30.6%-დან 47.25%-მდე იყო გაზრდილი 65 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებში. ვარდნის რისკს ზრდის ასევე ფიზიკური

სისუსტე, ჯანმრთელობის დაბალი თვითშეფასება და აგრეთვე ჯანმრთელობის ისეთი სტატუსი, როდესაც ადამიანს არ შეუძლია წონასწორობის დაცვა და დამოუკიდებლად გადაადგილება.

## **თავი 2. კვლევის ეტაპები**

კვლევა შედგებოდა ორი ეტაპისგან. კვლევის პირველ ეტაპზე დამუშავებული იქნა ჰოსპიტალიზაციის ბაზა (დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემები). მეორე ეტაპზე ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ საქართველოში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციები და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები, ხოლო კვლევის მეორე ეტაპზე ჩავატარეთ გამოკითხვა 65 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში.

### **2.1. კვლევის პირველი ეტაპი**

#### **2.1.1. მიზანი და ამოცანები**

კვლევის პირველი ეტაპის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციების და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

✓ 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნის ზოგადი ტენდენციის გამოვლენა;

✓ 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ვარდნის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა (ასაკი, სქესი, რეგიონი, სეზონურობა, ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობა, ჰოსპიტალიზაციის გამოსავალი;

✓ ცვლადებს შორის დამოკიდებულებების შეფასება.

### **2.1.2. კვლევის მეთოდები**

კვლევის პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა რეტროსპექტული ობსერვაციული კვლევა (რაოდენობრივი კვლევა). კვლევისათვის გამოვიყენეთ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 7 წლის (2015-2021წწ) მონაცემები. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი განხორციელდა SPSS პროგრამული პაკეტი მე-20 ვერსიის გამოყენებით.

### **2.1.3. კვლევის ეთიკური ასპექტები**

კვლევის პირველ ეტაპზე დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული მონაცემები არ მოიცავდა პიროვნების იდენტიფიკაციისთვის შესაძლებელ მონაცემებს, ამდენად ეთიკის გაიდლაინების შესაბამისად მოცემული ეტაპი არ მოითხოვდა ეთიკის კომიტეტის თანხმობას.

### **2.1.4 კვლევის პირველი ეტაპის შედეგები**

2015-2021 წლებში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ყველა მიზეზით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობამ შეადგინა 47456 შემთხვევა, აქედან ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი შეადგენს საშუალოდ 63%-ს. წლების მიხედვით ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი მერყეობს 59%-დან (2020 წელი) 66% მდე (2017 წელი)

ყველა დიაგნოზით და ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი 2015-დან 2019 წლამდე მატულობდა, რაზეც მიუთითებს უხეში მაჩვენებლების ზრდა ამ წლებში ( $\text{Chi}^2=110.2$ ;  $p<0.001$ ). თუმცა 2020 და 2021 წწ.-ებში როგორც ვარდნით, ისე ყველა დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის უხეში მაჩვენებელი მკვეთრად სარწმუნოდ ქვეითდება. 2015-2021 წლებში 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში ტრავმული დაზიანებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობამ შეადგინა 43.740 შემთხვევა, აქედან ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი შეადგენს საშუალოდ 68%-ს.

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული პაციენტების 69% ( $n=20617$ ) იყვნენ ქალები და 31% - მამაკაცები ( $n=9080$ ) ( $\text{Chi}^2=4482.1$ ,  $p<0.001$ ; ქალების და მამაკაცების თანაფარდობამ შეადგინა 2:1. 2015-2021 წლებში ქალების და მამაკაცების თანაფარდობა პრაქტიკულად იდენტურია, ქალების წილი მერყეობს 68%-70%-ის ფარგლებში, შესაბამისად მამაკაცების წილია 32%-30%. ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისათვის სქესის ნიშნით შანსთა ფარდობის (Odds Ratio - OR) მაჩვენებელთა და 95%-იანი სანდობის ინტერვალების (95% Confidence Intervals - 95%CI) ანალიზი აჩვენებს, რომ ქალებში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის შანსი სარწმუნოდ მაღალია ( $p<0.001$ ).

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული პაციენტების ასაკი მერყეობდა 65-დან 109 წლამდე. ჰოსპიტალიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 23% ( $n=6768$ ) იყო 80-84 ასაკობრივ ჯგუფში. მაღალი იყო მაჩვენებელი ასევე 75-79 და 65-69 ასაკობრივ ჯგუფებში, შესაბამისად 22% ( $n=6517$ ) და 21% ( $n=6146$ ). ყველა წლის მონაცემების მიხედვით შანსთა ფარდობების ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითადად ასაკის მატებასთან

ერთად სარწმუნოდ იზრდება ჰოსპიტალიზაციის შანსი ( $p < 0.001$ ).

2015-2021 წლებში ვარდნის გამო ჰოსპიტალიზებული პაციენტების 47% ( $n=4898$ ) მკურნალობდა თბილისში მდებარე ჰოსპიტლებში, 16% - იმერეთის ჰოსპიტლებში, ხოლო პაციენტების 3%-7% საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მდებარე ჰოსპიტლებში.

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 60%-ში ვარდნა განხორციელდა იმავე დონიდან, 8%-სიმაღლიდან, ხოლო შემთხვევების 32%-ში ლოკალიზაცია არ არის დაზუსტებული. ( $\text{Chi}^2=12106.5$ ,  $p < 0.001$ ).

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 51%-ში დაზიანებული იყო ბარძაყის/წვივის მიდამო, 23%-ში - თავის მიდამო, 8% მხრების და ზედა კიდურების მიდამო. წლების მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ თავის მიდამოს დაზიანების ყველაზე მაღალი წილი (27%) იყო 2019 წელს, ბარძაყის/წვივის მიდამოს დაზიანების ყველაზე მაღალი წილი (59%) - 2015 წელს.

2015-2021 წლებში პაციენტების ჰოსპიტალიზაციაში სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იკვეთება სეზონურობა  $\text{Chi}^2=1.01$  ( $p=0.586$  - სტატისტიკურად არასარწმუნო) და ჰოსპიტალიზაცია თვეების მიხედვით მერყეობს 8%-9%-ის ფარგლებში.

2015-2021 წლებში ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობის მაქსიმალური ხანგრძლივობა იყო 214 დღე. შემთხვევების 47%-ში საჭირო იყო 5-14 დღიანი მკურნალობა, 36%-2-4 დღე, 14%-ს დასჭირდა 1 დღე, 2%-ს 15-30 დღე, და 1%-ს 30 დღეზე მეტი. იგივე ტრენდი შეინიშნება წლების მიხედვით ჰოსპიტალში დაყოვნების ხანგრძლივობაში; აქაც მნიშვნელოვანი ვარიაციები არ აღინიშნება.

დაზიანებული ლოკალიზაციის მიხედვით ჰოსპიტალში დაყოვნების ყველაზე მაღალი საშუალო ხანგრძლივობა აღინიშნა კისრის არეში ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში (8,9±12.2 დღე).

2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული 65 წლის და მეტი ასაკის პაციენტების 92% (n=27418) დაასრულა მკურნალობა (რაც სტატისტიკურად სარწმუნოდ პრევალირებს,  $\text{Chi}^2=71835.3$ ,  $p<0.001$ ), 1% (n=345) შეწყვიტა მკურნალობა, 4% (n=1148) გადაყვანილი იქნა სხვა სტაციონარში მკურნალობის გასაგრძელებლად, 3% (n=786) გარდაიცვალა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ვარდნით გამოწვეულ ჰოსპიტალიზებულთა განაწილების სტრუქტურა არ იცვლება - დასრულებული მკურნალობა ამ შემთხვევაშიც სარწმუნოდ პრევალირებს ( $\text{Chi}^2=118.4$ ,  $p<0.001$ ), თუმცა 85 წლის და მეტი ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალია ჰოსპიტალიზაციის ლეტალური შედეგით დასრულების მაჩვენებელი, რომელიც ყველა ასაკობრივ ჯგუფთან ავლენს სტატისტიკურად სარწმუნო შანსთა ფარდობას. 85 წლის და მეტი და 80-84 ასაკობრივ ჯგუფში, ყველაზე მაღალია მენჯ-ბარძაყის დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, შესაბამისად 79% და 75%. 65-69 წლის ასაკში კი სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით მაღალია თავის ტვინის ტრავმული დაზიანება, მხრების მიდამოს და ზედა კიდურების, ასევე ქვედა კიდურების, თორაქსის დაზიანება.

ქალებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მეტი მამაკაცი პაციენტი გარდაიცვალა, შესაბამისად 5% და 2%.

მამაკაცებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო მეტი ქალ პაციენტი დასჭირდა ჰოსპიტალური მკურნალობა მენჯ-ბარძაყის მოტეხილობის, იდაყვისა და წინამხრის

ტრავმებისა და მხრის სარტყლისა და მხრის ტრავმების გამო. ქალებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ მეტ მამაკაცს დასჭირდა ჰოსპიტალური მკურნალობა თავის ტვინის და გულ-მკერდის ტრავმული დაზიანების გამო. ლეტალური შედეგით დასრულდა თავის ტვინის ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 44% და მენჯ-ბარძაყის მოტეხილობით ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების 36%.

## **2.2. კვლევის მეორე ეტაპი**

### **2.2.1. მიზანი და ამოცანები**

კვლევის მეორე ეტაპის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისის 65 წლის და მეტი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში დაცემის რისკების შეფასება და ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ✓ დაცემის და ტრავმული დაზიანების მიღების გამოცდილების გამოვლენა;
- ✓ დაცემის და ტრავმული დაზიანებების მიღების რისკ-ფაქტორების შეფასება;
- ✓ ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებების შესწავლა;
- ✓ ტრავმატიზმის პრევენციის განათლებითი კომპონენტის მიმართ მზაობის გამოვლენა.

### **2.2.2. კვლევის მეთოდები**

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით 2022 წლის 01 სექტემბრიდან 2023 წლის 14 თებერვლის ჩათვლით. კვლევა ჩავატარეთ პირისპირ

ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა თბილისის 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა. შერჩევის ზომად განისაზღვრა 1000 რესპონდენტი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების – რაიონების ტერიტორიულ ერთეულებად – უბნებად დაყოფის შესახებ 2014 წლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად თბილისი დაყოფილია 10 უბნად.

თითოეულ უბანში გამოკითხული იქნა 5 ასაკობრივ ჯგუფში 10 ქალი და 10 კაცი.

### **კვლევის სუბიექტების შერჩევის კრიტერიუმები**

განისაზღვრა რესპონდენტთა კვლევაში ჩართვის და გამორიცხვის კრიტერიუმები.

#### ჩართვის კრიტერიუმები:

- თბილისის მაცხოვრებელი
- 65 წელი და უფროსი ასაკი
- ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარი

#### გამორიცხვის კრიტერიუმები:

- ბოლო 12 თვის განმავლობაში მოძრაობის სრული შეზღუდვა
- მენტალური პრობლემების არსებობა
- კოგნიტური პრობლემების არსებობა
- ინფორმირებული თანხმობის გაცნობიერება-გააზრების უნარის არარსებობა.

**კვლევის ინსტრუმენტი.** სპეციალურად ამ კვლევისთვის შემუშავებული იქნა სტრუქტურულიზებული კითხვარი,



რომელიც დაეფუძნა აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (National Institutes of Health) მიერ დაფინანსებული პროექტის „ICREATE - Increasing Capacity in Research in Eastern Europe - კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში” (NINDS 2D43TW007261) ფარგლებში შემუშავებულ კითხვარს, რომელიც მიზნად ისახავდა ტრავმული დაზიანებების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების შესწავლას. კითხვარზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა ასევე საერთაშორისო გამოცდილება, მათ შორის სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებული კითხვარები, როგორცაა მაგალითად: ვარდნის რისკის ცნობიერების კითხვარი (FRAQ - Falls Risk Awareness Questionnaire), ვარდნის პრევენციის ქცევის ცნობიერების კითხვარი (FaB – Fall Awareness Behaviour), Falls risk was assessed using the Falls Risk Assessment of Older Person-Community version (FROP-COM), Short Falls Efficacy Scale-International (FES-I) და სხვა.

ჩვენს მიერ შემუშავებული კითხვარი შედგება დემოგრაფიული ნაწილისაგან და რამდენიმე თემატური მოდულისაგან, ესენია: (დანართი 3).

- ვარდნის რისკების თვითშეფასება;
- სამედიცინო ანამნეზის მოდული;
- ვარდნა-ტრავმული დაზიანების მოდული;
- გარემო რისკ-ფაქტორების/საფრთხეების მოდული;
- ქცევა-დამოკიდებულების მოდული;
- ვარდნის პრევენციის ინფორმირებულობის და მზაობის მოდული.

დემოგრაფიულ ნაწილი მოიცავს კითხვებს 65 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტთა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

კვლევის კითხვარი მოიცავს დემოგრაფიულ ნაწილს (ასაკი, სქესი, განათლება და ა.შ.), და 6 მოდულს.

1. დაცემის რისკების თვითშეფასება;

2. სამედიცინო ანამნეზის მოდული (რომელიც მოიცავს ქრ. დაავადებებს, ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებულ ფაქტორებს, მკურნალობას და რეაბილიტაციას, ჯანმრთელობის თვითშეფასებას, სამედიცინო მომსახურეობას).

3. დაცემა-ტრავმული დაზიანების მოდული (მოიცავს ბოლო 12 თვის განმავლობაში და წარსულში ვარდნის შემთხვევების არსებობას, სიხშირეს, როდის და რა მიზეზით მოხდა ვარდნა, ვარდნის შედეგები, ტრამვის ტიპები, სხეულის რა ნაწილი დაზიანდა, როგორ და სად მოხდა მკურნალობა)

4. გარემო რისკ-ფაქტორების/საფრთხეების მოდული (ბინაში ვარდნის რისკების შეფასებას).

5. ქცევა დამოკიდებულებების მოდული; (რომელიც მოიცავს, წაქცევის საშიშროების გამო ფრხილად მოძრაობას, და ვარდნის პრევენციასთან დამოკიდებულებას).

6. მოდული დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ (ვარდნის პრევენციის სესახებ ინფორმაციის არსებობა და ინფორმაციის მიღების სურვილი და მეთოდები).

კვლევის დაწყებამდე საპილოტე კვლევის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუ 10 რესპონდენტთან. საპილოტე კვლევის შედეგად გამოვლენილი მხოლოდ მცირე ტექნიკური და ლოგიკური უზუსტობები (ლოგიკური გადასვლების ინსტრუქციის საჭიროება) გათვალისწინებული იქნა კითხვარის საბოლოო ვერსიის შემუშავების პროცესში. საპილოტე გამოკითხვის შედეგები არ იქნა გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პროცესში. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით კითხვარის ქალაქის

ვერსიის გამოყენებით. რესპონდენტებთან ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 25 წუთი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS სტატისტიკური პროგრამით, ვერსია 20.

### **2.2.3. კვლევის ეთიკური ასპექტი**

კვლევა დაიგეგმა ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით. კვლევის დაწყებამდე სააპლიკაციო ფორმა კვლევის პროტოკოლის აღწერილობით გაგზავნილი იქნა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო ეთიკის კომიტეტთან. ეთიკის კომიტეტის თანხმობის მოპოვების შემდეგ (დასკვნა IRB #2022-073) დავიწყეთ გამოკითხვის ჩატარება.

რესპონდენტებს გამოკითხვის ჩატარებამდე მიეწოდებოდათ ზეპირსიტყვიერად ინფორმაცია კვლევის მიზნების და ამოცანების, ნებაყოფლობითობის, ანონიმურობისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის შესახებ. რესპონდენტები ინფორმირებულები იყვნენ კვლევის ნებისმიერ ეტაპიდან გამოთიშვის უფლების შესახებ. თვითოეული რესპონდენტი ხელმოწერით ადასტურებდა კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობას.

### **2.2.4. კვლევის მეორე ეტაპის შედეგები**

**დემოგრაფიული ბლოკი.** ასაკის მიხედვით დაყოფილ გამოკითხულებს შორის სარწმუნოდ სჭარბობენ დაქორწინებულები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს განაწილება სტატისტიკურად სარწმუნოა ( $p < 0.001$ ); ოჯახური მდგომარეობა კი კორელაციაშია ასაკის მაჩვენებელთან ( $p < 0.001$ ). ასაკის მიხედვით დაყოფილ გამოკითხულებს შორის სარწმუნოდ სჭარბო-

ბენ პენსიონერები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს განაწილება სტატისტიკურად სარწმუნოა ( $p < 0.001$ ); დასაქმების დონე კი უარყოფით კორელაციაშია ასაკის მაჩვენებელთან ( $p < 0.001$ ).

გამოკითხულთა უმრავლესობა (76%) აღნიშნავს ბინაში დაცემის რისკის არსებობას და ბინაში დაცემის ხელშემწყობ რისკ-ფაქტორებს შორის სარწმუნოდ მეტად აღნიშნავენ სრიალა მეტლახს და კიბეს.

ასაკის მატებასთან ერთად ბინაში დაცემის რისკს უფრო ნაკლებად აღნიშნავენ გამოკითხული პირები.

მამრობითი სქესის გამოკითხულებში სჭარბობენ დაცემის „საშუალო“ და „დაბალი“ რისკის მქონე მამაკაცები; მდედრობითი სქესის გამოკითხულებს შორის კი უფრო ხშირად ვხვდებით დაცემის „საშუალო“ რისკის აღმნიშნველ ქალებს. ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის დამფიქსირებელი გამოკითხულების რაოდენობა კი ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ იზრდება.

ართრიტის და ოსტეოპოროზის, კუნთების სისუსტის, მოძრაობის უნარის შეზღუდვის არსებობის შანსთა ფარდობის ანალიზით დადგინდა, რომ ამ პასუხის შანსი მდედრობითი სქესის ჯგუფში სარწმუნოდ მაღალია. მამრობითი სქესის და მდედრობითი სქესის გამოკითხულებს შორის სარწმუნოდ ნაკლებად აღინიშნება დამხმარე საშუალებების გამოყენება. თუმცა, მამაკაცებთან შედარებით ქალები სარწმუნოდ მეტად აღნიშნავენ ამა თუ იმ დამხმარე საშუალებების გამოყენებას ( $OR = 1.39$ ,  $95\%CI - 1.07-1.82$ ,  $p = 0.014$ ).

ექიმისგან მედიკამენტების გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიმღებთა და ასაკს შორის ასოციაცია (უარყოფითი კორელაცია) სარწმუნო აღმოჩნდა ( $p < 0.001$ ). ასეთი პასუხების დამფიქსირებელი გამოკითხულების

რაოდენობა ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ მცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხის „არ ვიცი“ დამფიქსირებელი გამოკითხულების რაოდენობაც ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ მცირდება ( $p < 0.001$ ).

მამაკაცებთან შედარებით ქალები სარწმუნოდ მეტად აღნიშნავენ ამა თუ იმ ხარისხის სირთულეს სოციალური აქტივობის კუთხით ( $OR = 1.87$ ,  $95\%CI - 1.45-2.41$ ,  $p < 0.001$ ).

ფიზიკურ აქტივობასა და ასაკს შორის ასოციაცია (უარყოფითი კორელაცია) სარწმუნო აღმოჩნდა ( $p < 0.001$ ). „დიახ“ პასუხის დამფიქსირებელი გამოკითხულების რაოდენობა ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ მცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხების „არა“, „საკმაოდ რთულია“ და „პერიოდულად რთულია“ დამფიქსირებელი გამოკითხულების რაოდენობა კი ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ იზრდება ( $p < 0.001$ ).

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ასაკს შორის ასოციაცია (უარყოფითი კორელაცია) სარწმუნო აღმოჩნდა ( $p < 0.001$ ). „დიახ“ პასუხის დამფიქსირებელი გამოკითხულების რაოდენობა ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ მცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხების „საკმაოდ რთულია“ და „პერიოდულად რთულია“ დამფიქსირებელი გამოკითხულების რაოდენობა კი ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ იზრდება ( $p < 0.001$ ).

მამაკაცებთან შედარებით ქალები სარწმუნოდ მეტად აღნიშნავენ ამა თუ იმ ხარისხის სირთულეს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით ( $OR = 1.30$ ,  $95\%CI - 1.01-1.68$ ,  $p = 0.044$ ). ორივე ჯგუფში დაცემის ადგილად სარწმუნოდ ხშირად ფიგურირებს ბინა, ეზო და ქუჩა. 85+ ჯგუფში ბინაში დაცემის შანსი: 4.99-ჯერ სარწმუნოდ მეტია 65-

69 ჯგუფთან (OR=4.99, 95%CI – 2.31-10.37,  $p<0.001$ ) და 2.73-ჯერ სარწმუნოდ მეტია 70-74 ჯგუფთან (OR=2.73, 95%CI – 1.34-5.56,  $p=0.006$ ) შედარებით; 65-69 ჯგუფში ქუჩაში დაცემის შანსი 4.11-ჯერ სარწმუნოდ მეტია 85+ (OR=4.11, 95%CI – 1.57-10.79,  $p=0.004$ ) და 8.13-ჯერ სარწმუნოდ მეტია 80-84 ჯგუფთან (OR=8.13, 95%CI – 2.23-29.67,  $p=0.002$ ) შედარებით.

როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში ტრავმული დაზიანებ(ებ)ის მიზეზად სარწმუნოდ ხშირად ფიქსირდება თავბრუსხვევა, ფეხის გაცურება, ფეხის წამოკვრა.

ასოციაცია მკურნალობის ტიპსა და ასაკს შორის ასევე სარწმუნოა ( $p=0.039$ ).

ასაკის მატებასთან ერთად მედიკამენტოზური მკურნალობა სარწმუნოდ მცირდება, ხოლო მკურნალობის სხვა სახეობების რაოდენობა იზრდება.

წაქცევის საშიშროების გამო კიბეებით სარგებლობისას ფრთხილად მოძრაობასა და ასაკს შორის ასოციაციაც სარწმუნოა ( $p<0.001$ ). პასუხის „ყოველთვის“ სიხშირე ასაკის მატებასთან ერთად მატულობს. პასუხების „არა“ და „ხანდახან“ სიხშირე ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს. წარსულში დაცემის (ან/და) ტრავმის გამოცდილების შემდეგ შიშის შეგრძნებას ქალები უფრო მეტად აღნიშნავენ, ვიდრე მამაკაცები.

ჩამოთვლილი პასუხების მიხედვით გამოკითხულთა განაწილება სარწმუნოა ( $p=0.040$ ). დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმირებულობასა და ასაკს შორის ასოციაციაც სარწმუნოა ( $p=0.007$ ). პასუხი „არა“ ასაკის მატებასთან ერთად მატულობს.

რა სახით ისურვებდნენ დაცემისა და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღებას პირველ რიგში

პასუხებს შორის სარწმუნოდ სჭარბობს „ტელევიზიით“. დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიღების სახეობასა და ასაკს შორის ასოციაციაც სარწმუნოა ( $p=0.045$ ).

ორივე ჯგუფში (ქალებშიც და კაცებშიც) ინფორმაციის წყაროდ ტელევიზიას აღნიშნავენ სარწმუნოდ მეტად; თანაც, მამაკაცების ჯგუფში ქალებთან შედარებით მეტად (თუმცა, არასარწმუნოდ) ფიქსირდება ტელევიზია ( $OR=1.44$ ,  $95\%CI - 0.99-2.10$ ,  $p=0.054$ ).

### **მრავლობითი რეგრესიული ანალიზის დასკვნა**

ბოლო 12 თვის განმავლობაში დაცემის შემთხვევის არსებობაზე ზეგავლენის მქონე სარწმუნო ფაქტორებია:

1. სქესი (უარყოფითი კორელაცია)
2. დაცემის რისკის თვითშეფასება (დადებითი კორელაცია)
3. ართრიტი (დადებითი კორელაცია)
4. ბინიდან გარეთ გამოსვლისას წაქცევის საშიშროების გამო ფრთხილად მოძრაობა (დადებითი კორელაცია)

### **მრავლობითი რეგრესიული ანალიზის დასკვნა**

ბოლო 12 თვის განმავლობაში დაცემის შემთხვევის არსებობაზე ზეგავლენის მქონე სარწმუნო ფაქტორებია:

1. მარტო ცხოვრება (უარყოფითი კორელაცია)
2. დაცემის რისკის თვითშეფასება (დადებითი კორელაცია)
3. ართრიტი (დადებითი კორელაცია)
4. კუნთების სისუსტე (დადებითი კორელაცია).

## დასკვნები

კვლევის პირველი ეტაპის შედეგად გამოვლენილი იქნა საქართველოს 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში 2015-2021 წლებში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის ზოგადი ტენდენციები. კვლევამ გამოავლინა, რომ 2015-2021 წლებში 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის წილი შეადგენს ყველა მიზეზით ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის საშუალოდ 63%-ს (დიაპაზონით 59%-66%), ხოლო ტრავმული დაზიანებით ჰოსპიტალიზაციის 68%-ს (დიაპაზონით 65%-70%). 2015-2021 წლებში აღინიშნება ვარდნის შემთხვევათა მატების ტენდენცია, რომელიც შეფერხდა 2020 წელს, რაც სავარაუდოდ უკავშირდება კოვიდ-პანდემიის დროს დაწესებულ მობილობის შეზღუდვებს.

კვლევის შედეგად ჰოსპიტალიზაციის 7 წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი იქნა ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები, მათ შორის ასაკობრივ სქესობრივი განაწილება: 2015-2021 წლებში ჰოსპიტალიზებული პაციენტების უმეტესობა ქალებია (69%). ვარდნით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის შანსი სარწმუნოდ მაღალია ქალებში ( $p < 0.001$ ) მამაკაცებთან შედარებით, ყველა ასაკობრივ ჯგუფში გარდა 65-69 წლის ასაკობრივი ჯგუფისა. 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ასაკის მატებასთან ერთად სარწმუნოდ იზრდება ჰოსპიტალიზაციის შანსი ( $p < 0.001$ ). სტატისტიკურად სარწმუნოა ( $\text{Chi}^2 = 12106.5$ ,  $p < 0.001$ ) იმავე დონიდან ვარდნის სიხშირე სხვა ტიპის ვარდნებთან შედარებით. ასევე სტატისტიკურად სარწმუნოა



Chi<sup>2</sup>=42748.2 (p<0.001) დაზიანებების შემდეგი ლოკაცია: ბარძაყის/წვივის მიდამო (51%), თავის მიდამო (23%) მხრების და ზედა კიდურების მიდამო (8%). საწოლზე დაყოვნების 5-14 დღიანი მაჩვენებელი სარწმუნოდ აღემატება დანარჩებ ოპციებს, რომელსაც მოსდევს 2-4-დღიანი მკურნალობა. ჰოსპიტალიზაციის მაქსიმალური ხანგრძლივობა იყო 214 დღე. ჰოსპიტალში დაყოვნების ყველაზე მაღალი საშუალო ხანგრძლივობა ფიქსირდება 85 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში. ჰოსპიტალში დაყოვნების ყველაზე მაღალი საშუალო ხანგრძლივობა აღინიშნა კისრის არეში ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში (8,9±12.2 დღე).

ოსპიტალიზებული პაციენტების 3% გარდაიცვალა. ჰოსპიტალიზაციის ლეტალური შედეგით დასრულების მაჩვენებელი, ყველაზე მაღალია 85 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფში.

კვლევის პირველი ეტაპის შედეგები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს საბაზისო ინფორმაციას საქართველოში 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიის შესახებ.

კვლევის მეორე ეტაპის შედეგად გამოვლინდა 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებში ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანების სიხშირე ბოლო 12 თვის განმავლობაში. გამოკითხულთა თითქმის მესამედმა აღნიშნა, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონდა დაცემის შემთხვევა, ამასთანავე ქალები სარწმუნოდ მეტად აღნიშნავენ დაცემის შემთხვევას მამაკაცებთან შედარებით (OR=1.63, 95%CI - 1.25-2.14, p<0.001).

გამოკითხულ რესპონდენტების მიერ დაცემის ადგილად სარწმუნოდ ხშირად დასახელდა ბინა, ეზო და ქუჩა; უშუალოდ ბინაში კი - სააბაზანო ოთახი, საძინებელი და სამზარეულო.

უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტებმა დაცემის შედეგად მიიღეს მსუბუქი ტრავმა, დახურული ტრავმის ან ჰემატომის სახით. ტვინის დაზიანება/ შერყევის შემთხვევები მამაკაცებში იყო 3,59-ჯერ მაღალი, ვიდრე ქალებში (OR=3.59, 95%CI – 1.22-10.51,  $p=0.012$ ). დაცემის შედეგად ქალებთან შედარებით მამაკაცები 4.59-ჯერ სარწმუნოდ უფრო მეტად აღნიშნავენ თავი/თავის ქალის ტრავმულ დაზიანებას (OR=4.59, 95%CI – 2.30-9.13,  $p<0.001$ ), ხოლო ქალები კი - 3.31-ჯერ სარწმუნოდ უფრო მეტად - ქვედა კიდურების დაზიანებას (OR=3.31, 95%CI – 1.89-5.81,  $p<0.001$ ).

როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში ტრავმული დაზიანებ(ებ)ის ვითარებად სარწმუნოდ ხშირად ფიქსირდება თავბრუსხვევა, ფეხის გაცურება, ფეხის წამოკვრა. წარსულში დაცემის (ან/და) ტრავმის გამოცდილების შემდეგ შიშის შეგრძნებას ქალები უფრო მეტად აღნიშნავენ, ვიდრე მამაკაცები (OR=1.53, 95%CI – 1.18-1.98,  $p<0.001$ ).

წარსულში დაცემის ეპიზოდსა და ასაკს შორის ასოციაცია სარწმუნოა ( $p=0.001$ ). ასაკის მატებასთან ერთად წარსულში დაცემის ეპიზოდის არსებობის შანსი მატულობს. წარსულში დაცემის (ან/და) ტრავმის გამოცდილების შემდეგ მოძრაობის შეზღუდვა/არ შეზღუდვას თანაბრად აღნიშნავენ ორივე ჯგუფის გამოკითხულები.

დებულებას, რომ „ადამიანები ასაკში ეცემიან და ამას ვერაფერი ვერ შეაჩერებს“ ეთანხმებოდა ორივე ჯგუფის უმრავლესობა. ქალებში მამაკაცებთან შედარებით კი სარწმუნოდ

მეტად ვლინდება რომ დაცემის პრევენცია სხვა სამედიცინო საკითხების ანალოგიურად „თანაბრად მნიშვნელოვანია“ (OR=1.55, 95%CI – 1.02-2.35, p=0.038).

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ რესპონდენტები არ არიან ინფორმირებულები დაცემის და ტრავმატიზმის პრევენციის გზების შესახებ. ინფორმირებულობასა და ასაკს შორის ასოციაცია სარწმუნოა (p=0.007). ინფორმირებულობის ნაკლებობა ასაკის მატებასთან ერთად მატულობს. ამავე დროს ინფორმირებულობა სარწმუნოდ მნიშვნელოვნად მიაჩნია რესპონდენტების ორივე სქესობრივ ჯგუფს. ინფორმაციის მიღების სურვილიც სარწმუნოდ მეტად გამოვლინდა ორივე ჯგუფში.

ინფორმაციის მიღების საშუალებად დასახელდა „ტელევიზია“ და „სამედიცინო პერსონალთან ვიზიტი“. კვლევის მეორე ეტაპის შედეგები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ქ. თბილისის 65 წლის და უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მაგალითზე ვარდნით გამოწვეული ტრავმული დაზიანების მიღების რისკ-ფაქტორების, გარემოებების შესახებ, ასევე ამ ჯგუფის მოსახლეობის ტრავმატიზმის პრევენციის მიმართ ქცევა-დამოკიდებულებების და ტრავმატიზმის პრევენციის განათლებითი კომპონენტის მიმართ მზაობის შესახებ.

### **რეკომენდაციები**

